# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**რედაქცია**

გარნოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, ამატუნის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова.

**გაზეთის ფასი**

წლიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება



ხელის-მოწერა ამ 1877 წლის

## „დროებაზე“

მიიღება გაზეთის რედქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (გარნოვის ქუჩაზე, ნაპ. ამატუნის სახლებში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| ფასი | მთელი წლის გაზეთისა | 8 | „ |
| | ექვსი თვისა | 4 | 50 |
| | სამის თვისა | 2 | 50 |
| | ერთის თვისა | 1 | „ |

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

ცალკე ნომრები „დროებისა“ ისყიდება:

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში (პუკის ხიდზე, მირზოევის შენობაში)
გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (პუკის ხიდთან, ზუბალოვის სახლში)
„კარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში)
„სულთანის“ თამბაქოს მაღაზიაში (სუდის ქვეშ)
პარიკმახერ პიერთან (პროსპექტზე)
გრიგოლოვის მაღაზიაში („კავკაზის“ სასტ. ქვეშ, მირზოევის სახლებში)

ფასი თითო ნომრისა — 5 კაპეიკი


# საქართველო

## უსაფუძვლო საყვედური

ერთი საყვედური ისმის ხშირად ჩვენს მკითხველს საზოგადოებაში „დროებაზედ“.

საზოგადოება ემდურის ჩვენს გაზეთს ქართველების ვითომ ერთობ მომეტებულ, უსაფუძვლო და შეუფერებელ კიცხვისათვის.

— ჩვენი ლანძღვა-გინების მეტი არაფერი სწერია „დროებაშიო,“ — გაიგონებთ ერთისაგან.

— არა, არაფერი პატიოსნებაა, თქვენმა მზემ, — ამბობს მეორე, — ეს გაზეთი რომ სულ ჩვენ ნაკლულევანებას ეძებს და ამჟღავნებს! განა საქები და მოსაწონი თვისება ჩვენ, თამარ მეფის დროინდელ ქართველების შთამომავალთ, არა დაგვრჩენია-რა?

— ჩვენს „დროებას“ ჰკითხულობ, ბატონო? ეკითხება ერთი დარბაისელი ქართველი მეორე არა-ნაკლებ დარბაისელ ქართველსა.

— არც ვკითხულობ და არც წავიკითხავ, თქვენ არ მომიკვდეთ, — კეთილ-შობილების გინებისა და კიცხვის მეტს არას იწერებიან და რად მინდა მაგისთანა გაზეთი!

ესვე საყვედური გამოთქვა ჩვენს გაზეთზე გაზეთ „კავკაზმა“ ამ წლის მე-17 ნომერში. იქ სწერია:

„ის („დროება„) ისეთს ბოროტებასა და დანაშაულობას ახვევს კისერზე ქართველ საზოგადოებას, რომელშიაც ეს საზოგადოება სრულიად დამნაშავე არ არის. ის წარმოგვიდგენს ამ საზოგადოებას როგორც მხეცების გროვას, რომელსაც არავითარი საზოგადო კავშირი არა აქვს, რომელიც ერთმანეთსა სჭამს და რომელიც განზრახ წინააღმდეგია ყოველი საზოგადო წარმატებისა. სრულიად მართალია, რომ ქართველ ხალხში, სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოებათა წყალობით, ბევრი ბოროტება გაჩნდა, რომელიც, საფიქრებელია, მალე არ ამოიფხვრება; მაგრამ ამასთანავე არ შეძლება ისიც არა ვსთქვათ, რომ, გარემოებათა გამოცვლისა და ცხოვრების წესის გაუმჯობესობის წყალობით, ხსენებული ნაკლულევანებანი ქართველ ხალხისა უნდა მცირდებოდნენ, მართლაც თან-და-თან მცირდებიან. ეს ბუნებითი კანონია და მაშასადამე ქართველი ხალხი ზნეობითად არ შეიძლება იმავე მდგომარეობაში იყვეს, რომელშიაც ის მე-XV და მე-XVI საუკუნეებში იმყოფებოდა.“

სხვა საფუძველი რომ არა გვქონდეს-რა, მარტო ეს ჩვენი საზოგადოების გაცხარება და მოუთმენლობა საკმაო იქნებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ თუ ცხარობს განკიცხვისათვის, უეჭველია, აქვს რამე გასაკიცხი. მე, სწორ ფეხებიანს, რომ გიანად მოსიარულე კაცს რომ კოჭლი დამიძახოთ, განა ამისათვის გაგიწყრებით? სწორ მხედველს რომ ბრმა დაუძახოთ, განა ამისათვის ის გაგიგულსდებათ?

საქმე მარტო იმაში როდი მდგომარეობს, ბატონებო, რომ ჩვენი გაზეთი საზოგადოებას ჰკიცხავს და იმის ნაკლულევანებას ამჟღავნებს. საქმე იმაშია: საფუძვლიანად გკიცხავთ ის, თუ უსაფუძვლოდ? მართალია, ნამდვილია ის ნაკლულევანება, რომელზედაც გაზეთი ჰყვირის, თუ არა? დაიმსახურეთ თქვენ ის უშვერი სიტყვები, რომელსაც გიძლვნისთ ის თქვენ, თუ არ დიგიმსახურებიათ?

ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ ჩვენს განკიცხვაში უსაფუძვლო არა არის-რა; რომ ნამდვილად არსებობს ჩვენს საზოგადოებაში ყველა ის ნაკლულევანება, რომელზედაც ჩვენ ვყვირით და იქნება ბევრი სხვაც, რომელზეც ჩვენ ჯერ არ ანუ ვერ გვიყვირია; რომ ჩვენმა საზოგადოებამ ღირსეულად დაიმსახურა ის უშვერი სიტყვები (თუ კი გვითქვამს), რომელიც „დროებას“ იმისათვის უძღვნია.

რაში ვკიცხავთ, რა ნაკლულევანებას ვხედავთ ჩვენ ჩვენს ამ-დროინდელ ქართველ საზოგადოებაში?

უმთავრესი ნაკლულევანებანი ჩვენის საზოგადოებისა, რომელზედაც ჩვენს გაზეთს არა-ერთხელ ულაპარაკნია და, თუ შემთხვევა ნებას მისცემს, უეჭველია, შემდეგშიაც ილაპარაკებს, მდგომარეობს იმაში, რომ ახლანდელ ქართველობაში აღარ არის ერთობა, არ არის საზოგადო ინტერესებისათვის ზრუნვა; ყველანი თავისათვის, მხოლოთ თავისათვის, თავის ჯიბისა და მუცლისათვის

# ფელტონი

## ვირთაგვა

(მოთხრობა ამერიკის ცხოვრებიდან *)

(დასასრული)

### III

კაპიტან ჟილბერმა მთელი სალამო ქალაქში გაატარა და თერთმეტ საათზე კი ხომალდზე დაბრუნდა.

— კაპიტანო, მე უნდა ერთი უსიამოვნო ამბავი გიამბოთ, უთხრა მას ლეიტენანტმა: ყველა გემის მოსამსახურეები დაუკითხავათ რიყეზე წავიდნენ.

— დექურნათ ვინ არის?

— ანდრჰიუსი.

— ეხლავე ანდრჰიუსი ჩემთან გამოგზავნეთ. ეს რას ნიშნავს? უსიამოვნოთ ჰკითხა კაპიტანმა.

— მე მაგაში დამნაშავე არ გახლავარ, ისინი კიბეზედ არ ჩასულან, ხომალდის გვერდებზე ჩაშვებულან და იქიდამ რიყის პირას გასულან; არას გზით იმათი შეყენება არ შეიძლებოდა.

კაპიტანს ძრიელ აწუხებდა, რომ ხვალ უნდა უეჭველად გასულიყვნენ იმ ქალაქიდამ და გემის მოსამსახურეები კი შეიძლება მთვრალები და იქნება სულაც არ მოსულიყვნენ. გაჯავრებული წავიდა ის თავის კაიუტში და დიდხანსაც ვერ დაეძინა. პირველს საათზე მას რაღაცა ჩურჩული მოესმა: „კაპიტანო, კაპიტანო!“ კაპიტანი წამოხტა ზეზე, რევოლვერი გატენა და ის იყო სანთელიც უნდა აენთო, როგორც იმავე ხმამ მას წასჩურჩულა:

— ტსს! ეს მე ვარ, დიკი, ნურც ხმას ამოიღებთ და ნურც სანთელს აანთებთ. ტსს! თქვენი ხომალდის მოსამსახურეებში არის ვინმე ფილ-ვუდი, თუ არა?

— ჰო, არის ცეცხლის გამქრობელი, მხოლოდ ის წარსულ კვირას გაიქცა აქედან.

— თქვენ ხომალდში არის ფულები?

— არის.

— მაშ მე ეხლა იმას გეტყვით, რომ ფულ-ვიდი და კიდევ რამდენიმე კაცი ეხლა თქვენს ხომალდზე არიან, და იმ ფულების მოპარვას აპირებენ.

— ღმერთო ჩემო! რატომ ადრე არ შემატყობინე! შეჰყვირა შეშფოთებულმა კაპიტანმა.

— იმიტომ ვერ შეგატყობინეთ, რომ პოლიციელმა იმ ნივთებით, რომლებიც მე ოსტენმა მაჩუქა, დამატუსაღა; იმას ეგონა, რომ ის ნივთები მოპარული იყო, და იმისათვის პოლიციაში დამაჭერინა, მაგრამ მე მაინც იქიდამ გამოვიქეცი.

— შენ ამბობ, რომ ისინი ეხლა ხომალდში არიან?

— დიახ, და თავიანთ საქმეს კიდეც შესდგომიან. აი, თუ გინდათ, თქვენ თითონ დაუგდეთ ყური.

კაპიტანმა დაუგდო ყური; შემდეგ საჩქაროთ ჩაიცვა ტანთა, მისცა დიკს რევოლვერი და უთხრა:

— ჩქარა, პატარა ხიდზე გაიქეცი და იქ რაც შეგიძლიან მაღლა დაუყვირე ყარაულს!

კაპიტანიც საჩქაროზე კაიუტიდან გამოიქცა და კარგ დროს მიუსწრო: ქურდებმა ყარაულ-მატროსს ხელები შეუკრეს, პირიც აუკრეს, და თითონაც იმ სარდაფში შევიდნენ, სადაც ფულები იყო შენახული, და ორი ფულის სკივრი კიდეც გამოათრიეს. დიკს რაც კაპიტნისაგან ნაბრძანები ჰქონდა, ყოველისფერი ისე აღასრულა. იმ დროს კაპიტანს დასცემოდნენ ქურდები და ისიც თავის ოთახიდამ, თოფის სროლით, თავს იცვამდა. დიკს ხუთი სროლა კიდევ დარჩენოდა, და ისიც თვალ-დახუჭული ერთი მეორეზე გაისროლა. ეს ომი იქამდინ გაგრძელდა, ვიდრემდინ აქიმი, ლეიტენანტი და კიდევ ორი თუ სამი კაცი არ მოეშველნენ. ქურდები ხომალდის ბანზე ახტნენ, რადგანაც სხვა გასაქცევი გზა შეკრული იყო; სამი იქვე დაჭრილები დარჩნენ.

ჯერ პირველათვე უბედური ანდრჰიუსი უნდა გაენთავისუფლებინათ, რადგან ხელები და პირი შეკრული ჰქონდა. შემდეგ მოვიდა პოლიცია და ყველაფერი გაჩხრიკა, იმის დასარწმუნებლათ, რომ ქურდი ხომ არავინ დამალულიყო.

— ეს აქ რა დევს? დაიყვირა ლეიტენანტმა; აბა სანთელი მოანათეთ! ოხ, ღმერთო ჩემო! კაპიტანო, რა უმადურებაა! ეს ის წყეული „ვირთაგვაა“, რომელსაც ქალმა....

— ახ, მე ის კიდეც დამავიწყდა! დაჭრილი ხომ არ არის? იკითხა კაპიტანმა.

— თუ დაჭრილია, კარგიც მოსვლია! მაგრამ რა ნახა, რომ კაპიტანმა დაბლა დაიღო თავი და დაუ-

*) „დროება“, № 15

ჰფიქრობენ; ოღონდ მე ვიყოთ და თუნდაც ქვა-ქვაზედაც ნუღარ იქნებაო; ჩვენ ვყვირით, ჩვენ ვ[illegible]ირით, რომ განათლებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა ამ გზას ადგას, რომ ვიწრო თავმოყვარეობისა და ვერცხლის, მუცლის სიყვარულის ღმერთს თაყვანსა სცემს; ჩვენ ვამბობთ, რომ ხელიდამ გვისხლტება ყველაფერი, რაც ჩვენს ნაციონალობას, რაც ჩვენს ხალხოსნობას შეადგენს; რომ ჩვენ გვეკარგება ჩვენი სამშობლო ენა, მწერლობა და სიტყვიერება; რომ ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით კეთილ-შობილი საზოგადოება, თავად-აზნაურობა, რომელიც ჰფიქრობს, რომ ხალხის წინამძღოლია და წარმატებისგზის მაჩვენებელი, ეს საზოგადოება თვითონ უმეცარია, სიბნელეში აფათურებს ხელებსა, დაუდევარია და ყოველ საზოგადო საქმეში ზარმაცი; რომ იმას, არათუ საზოგადო სამშობლოს სიკეთე, ხშირად თავის საკუთარ, სარგებლობა და სიკეთე არ ესმის.

აი ამას ვამბობთ ჩვენ; ვამბობთ იქნება, ხანდისხან ცოტა ცხარე სიტყვებით და შეუფერებელად. მაგრამ სიტყვის თქმის მანერა და კილო ხო კაცის ხასიათზედ ჰკიდია: ერთი ტკბილად, გულზე მალამოს წასმით გეტყვისთ რომელსამე მწარე სიტყვას; მეორე კი ამავე სიტყვას პირ-და-პირ, შეუფერებელად, მოურიდებლად მოგახლისთ გულზე.

„არ შეიძლება, რომ ქართველი ხალხი ზნეობითად ახლა იმავე მდგომარეობაში იყვეს, რომელშიაც ის მე-XV და XVI საუკუნოებში იმყოფებოდაო!“ გვეუბნება „კავკაზი“. კარგი ნუგეშია, რაღა თქმა უნდა! დღეს რომ იმ ზნეობისა აღარ ვიყვნეთ, რა ზნეობისაც ოთხი-ხუთი საუკუნის წინათ ვიყავით, განა ეს დასაკვეხნელია? განა ამით უნდა ვინუგეშოთ თავი? მაგრამ უბედურება ეს არის, რომ მაგრე რიგად აღარც ეს ნუგეში გვრჩება, რადგან, თუ ცოტა რამ შევიძინეთ, მაგიერად ზოგი ისეთი რამეებიც დავკარგეთ, რომელიც მუდამ შესანახი და დასაფარავი იყო ჩვენგან....

პრუდონმა სთქვა, რომ ნეტა ისეთს დროსა მოვესწრებოდე ჩემს სამშობლო ქვეყანაში, რომ კონსერვატორობისათვის თავი გამაგდებინონო. იმის მსგავსად ჩვენ ვიტყვით: ნეტა იმ დროს მოვესწრობოდეთ, რომ ქართველ საზოგადოების ნაკლულევანებაზე ხმა აღარ გვქონდეს ამოსაღები და სიტყვა სათქმელი.

მაგრამ, სანამ ჩვენი საზოგადოება სავსეა სხვა-და-სხვა ნაკლულევანებითა, სანამ ჩვენი ცხოვრება კაცური ცხოვრება არ არის, სანამ ჩვენ ჩვენი თავი, ჩვენი კერძო-სარგებლობა ღმერთად მიგვაჩნია; სანამ ყოველი საზოგადო საქმე ჩვენ შარმანდელ თოვლად მიგვაჩნია და საზოგადო სამშობლო მეწველ ძროხად,—მანამ, არათუ ლიტერატურას, რომელიც საზოგადოების სარკედ ითვლება, არამედ ყოველ კერძო კაცს მოვალეობა აქვს, რომ ეს ნაკლულევანება და ცუდი თვისებანი აშკარად, საქვეყნოდ გამოააშკარავოს.

და, თუ საზოგადოება, მის მაგიერად, რომ ყურადღებაში მიიღოს ყველა თავის ნაკლულევანებათა მხილება და შეძლების-და-გვარად ეცადოს იმის მოსპობა,—ბრაზობს, ჯავრობს ამ მხილებისათვის, თუ იმას სწყინს თავის თავზე სიმართლის გაგონება, ესეც ერთხელ კიდევ იმის ულონობასა, და ზნეობით კოჭლობას ამტკიცებს.

ს. მ.

## დღიური

** დღეს, პარასკევს, საღამოს 7½ საათზე სამოქალაქო მედიცინის გამგეობის სადგომში, (საპიოის ქუჩაზე, თ. რ. ანდრონიკოვის სახლებში) დანიშნულია კრება იმ პირთა, რომელთაც განაცხადეს სურვილი, რომ ჩვენს ქალაქში „ბუნების მეცნიერების მოყვარეთა საზოგადოება“ შესდგეს. ორჯერ იყო დანიშნული კრება, მაგრამ საკმაო ხალხი არც ერთხელ არ მოგროვდა. ეს მესამეთაა და თუ ახლაც არ მოგროვდნენ კიდევ, ეს საზოგადოება დაბადებამდინ მიცვალებულად ჩაითვლება. ამ კრებაზე, თუ შესდგა, საზოგადოების თავმჯდომარე და რჩევის წევრნი უნდა ამოირჩიონ.

კეთილი და სასარგებლო მიზანი აქვს ამ საზოგადოებას და სწორეთ სამწუხარო იქნება, რომ ასე უდროოთ მოისპოს.

** ჩვენ გვითხრეს, რომ მთავრობას გადაუყენებია დირექტორი ლოჰინის სამეურნეო შკოლისა უ. ზეევსკი და მის თანამდებობას ამჟამად უ. ვლ. ჯანდიერი ასრულებსო, რომელიც დღემდინ ხსენებული დირექტორის თანაშემწედ ითვლებოდა.

** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ:

„მეჩვიდმეტე ნომერში „კავკაზისა“ დაბეჭდილია სტატია „ქართული პრესსა“, რომელშიაცა აბრალებენ „დროებას“ ჩვენ საზოგადოების გადაჭარბებულ განკიცხვას და სხვათა შორის მაგალითად მოჰყავთ ორიოდ სტრიქონი ჩემ სტატიიდამ: „ჩვენი განათლებული ჩინოვნიკობა“ („დროება“, № 3, 1877 წ.)

„კავკაზის“ რეცენზენტი ამტკიცებს, მითომ დამეწეროს მე, რომ ქართველ ნასწავლ ახალ თაობაში არ პოიპოვება კაცი, რომელიც ადევნებდეს თვალ-ყურს მეცნიერებას და ემსახურებოდეს საზოგადოების სიკეთეს.

„იქნება ეს ჰაზრი ჭეშმარიტებაც იყოს, მაგრამ მე ის არ გამომითქვამს არას დროს.

„მართალია, ჩემ ზემოხსენებულ სტატიის პირველ სტრიქონებს ვუძღვნი საზოგადოდ მთელ ქართველ ნასწავლ ახალ თაობას, მაგრამ შემდეგ ვატყობინებ მკითხველს, რომ მინდა ვილაპარაკო იმ განათლებულ ახალგაზდობაზე, რომელიც ირჩევს ჩინოვნიკობას და ვამბობ: „ვერ იპოვნით ამ ახალგაზდობაში კაცს, რომელსაც კურსის დასრულების შემდეგ განეგრძელოს თავის მეცნიერების შესწავლა“.

„ცხადია, რომ რაც მითქმამს მე ჩემ სტატიაში მხოლოდ ჩვენ განათლებულ ჩინოვნიკობაზე, იმას „დროების“ გამრჩევი თავის რეცენზიაში მათქმევინებს მთელ ქართველ ნასწავლ ახალ თაობაზე.“ გ. თ.

** ფოთიდამ გვწერენ, რომ იქაური საქალებო სასწავლებელი უკვე დაუხურავთ, რადგან ერთის მხრით, უსაშუალობის გამო, ამ სასწავლებლის საქმე ამ უკანასკნელ დროს ერთობ ცუდათ მიდიოდა და მეორე მხრით, ომიანობის მოლოდინით, ბევრი გავიდა აქედამ და შაგირდები თითქმის სულ აღარ იყვნენო.

სავაჭრო ორ-კლასიან სასწავლებელზე იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ამ სასწავლებელში ამჟამად მხოლოთ ათი შაგირდი დაიარებაო, რომელთაც მალე ეგზამენებს დააჭერინებენ და მერე შინ ვაისტუმრებენო.

** ჩინებული დღეები დგება ჩვენს ქალაქში. თითქმის ზაფხულის მზე გვაცხუნებს და თოვლი სულ დადნა ქალაქში და ქალაქს გარშემოც თან-და-თან დნება.

ქუთაისიდამაც ამგვარსავე კარგ ამინდებს გვწერენ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქუთაისი**, 5 თებერვალს. უფალო რედაქტორო, არ შეიძლება ჩემგან შემოთვლილი ამბებიც დაბეჭდოთ იმ ადგილზე, სადაც „ვინც უნდა ვიყოს“ კორრესპონდენციებს ჰბეჭდავდით? ხან-და-ხან იქნება მეც მოგწეროთ რამეები. ამნაირად ცოტათი „ვინც უნდა ვიყოს“ შრომას შევუმცირებ და მის მადლსაც მოვიხსამ; იმას მაინც, როგორც სჩანს, ეშინიან რაღაცასი. „დროების“ ფოჩტით ატყობინებდით თქვენ მას, რომ განაგრძოს და ნურასი ეშინია. ეტყობა, ძალიან შეუშინებია ვიღაცას. თითონ რო პირამთქმელობას გვიქადაგებდა ის „ვინც უნდა ვიყო“, თუ ფრთხალი არ არის, გვითხრას, ვინ არის და მაშინ ვაჩვენებთ სეირს. მასკის ჩამოცმა აკვირვებს! ნამდვილ სახელს რომ არ აცხადებს და მაშინაც ეშინიან, რომ გამოგონილი სახელი არ ჩამოეფარებია თავის თავზე, მაშინ ხომ შიშით სული გავარდებოდა? ახლა გაიგოს კარგად, თუ რისთვის ვხმარობთ ჩვენ მასკას. ჩვენ ვხმარობთ მასკას და კიდევაც გვესმის მისი მნიშვნელობა....

ღმერთმა კაი გაგახსენოს! მასკა ვახსენე.

ეს მასკები, მგონი, ტყვილა შეგვრჩა ნაყიდი. [illegible] ისე წავიდა, რომ მასკარადს აღარ გვაღირსა. შეიძლება დამარხვების სიახლოვე იყოს მიზეზი, ანუ უკეთ ვსთქვათ, დამარხვა...

ამბობენ, ბევრმა უსიამოვნო სცენები ნახა, უსიამოვნო სიტყვები გაიგონაო მასკარადში და იმიტომ აღარ იქნებაო. მაგრამ, ჩემის ჰაზრით, ეს ვერას უშველის ზოგიერთების წყენას. თუ უნდათ, რომ საწყენი მათ არაფერი უთხრას ვინმემ, აი რა ჰქნან:

---

წყო დიკს ალერსიანი ლაპარაკი, იმან ასე იფიქრა, რომ კაპიტანი სწორეთ ჭკუაზე შეიშალაო.

— საწყალი დიკი, ამბობდა კაპიტანი, შენ იტანჯვი, ჩემო პატარა ბიჭო! ნუ ჰკრთები, მე ვარ, შენი მეგობარი. დიკ, ერთი სიტყვა მაინც მითხარი!

— პოლიცია წავიდა, თუ არა? წაიბურტყუნა დიკმა.

— ნუ გეშინიან, პოლიცია შენ ვერას დაგაკლებს; შენ ეხლა ვერავინ რას დაგიშავებს. უ. ექიმო, ყოველ გვარი მეცადინეობა იხმარეთ, აგები მოარჩინოთ ეს საწყალი ბავშვი; ნურას დაზოგამთ.

დაჭრილი ქურდები საავათმყოფოში წაიყვანა პოლიციამ და დიკი კი კაპიტნის ოთახში წაიყვანეს და იმის ქვეშაგებში ჩააწვინეს.

ხომალდის ექიმი ხშირათ დადიოდა ავათმყოფთან; ახალი-ორლეანის გამოჩენილმა ხირურგებმა, რომლებიც კონსილიუმზე იყვნენ მოწვეულნი, სთქვეს, რომ დიკის წყლული ძრიელ საშიშოაო. კაპიტანი ჟილბერი არ შორდებოდა ავათმყოფს.

— ერთი მითხარით, ამბობდა დიკი მკრთალი ხმით, ის ფულები თქვენი იყო?

— არა, ჩემი კი არ იყო, მაგრამ სხვამ მომაბარა.

— მაშ ძრიელ შეწუხდებოდით, იმ ფულის დაკარგვაზე?

— რასაკვირველია, მე მაშინ სრულიად დაღუპული ვიქნებოდი.

— მაშინ ისიც ხომ ძრიელ იწუხებდა?

— ვინ ისა? ვიზედ ლაპარაკობ, ჩემო შვილო?

— იმ ქალზე, ვისთვისაც თქვენ იმის ავათმყოფობის დროს, ბევრი სიკეთე გიქნიათ.

კაპიტანმა ისე მიიბრუნა პირი, რომ თითქოს მწარე აბი ჩააყლაპესო.

— მაშ იმის სიყვარულითა ჰქმენი ესე?

— იმ ქალმა სთქვა, რომ ძრიელ შევწუხდებოდი, თუ კაპიტანს ცუდი რამე დაემართებოდაო, რადგან იმ ქალის ავათმყოფობის დროს თქვენ ძრიელ გულ-კეთილობა გამოგიჩენიათ. აგერ ორი დღე არის, რაც ფულ-ვიდი სხვებთან პირობასა ჰკრამდა, რომ ხომალდიდან ფულები ერთათ მოეპარნათ. იმათ სურდათ მთელი გემის მოსამსახურების დათრობა და იმ გვარათ იმათი რიყეზე შეჩერება, ასე რომ ხომალდში, კაპიტნის და ყარაულის მეტი, არავინ არ დარჩენილიყო. ერთი ქურდთაგანი კაპიტნის ოთახის კარებთან ყარაულათ უნდა დამდგარიყო, რომ ვინიცობაა კაპიტანი გარეთ მოინდომებდა გამოსვლას, თავში დაეკრათ იმისათვის. მე დარწმუნებული არ ვიყავი, რომ იმათი ლაპარაკი თქვენ ხომალდს შეეხებოდა, და საკითხავათ მოვდიოდი თქვენთან, რომ ხომალდში ფული გქონდათ, თუ არა; მაგრამ ამ დროს პოლიციამ დამატუსაღა.

— შენ ვინ დაგჭრა?

— არ ვიცი. როდესაც აქ პოლიცია მოვიდა, მე მაშინ იქ დავიმალე, სადაც თქვენ მე მიპოვნეთ; მე მეშინოდა, რომ პოლიციას მეც ქურდი არა ვგონებოდი.

IV.

„ვირთაგვისთვის“ რომ შეგეხედნათ, ცარიელი ძვალი და ტყავიღა იყო; იმდენი სისხლი დაკარგა, რომ სიკვდილი მისთვის აუცილებელი იყო. ტყვია ფილტვებს მოხვედროდა და შემდეგ ბეჭის რბილში დარჩენილიყო. ციება და უძილობა სტანჯავდა; დღე და ღამ სულ ერთი გვერდიდან მეორეზე ბრუნდებოდა.

ძლიერ გაკვირვებული იყო დიკი, რომ ასე კარგათ უვლიდნენ. ქალი მოვიდა მის სანახავათ; იმის ნახვამ თითქო ცოტათი გააცოცხლა ეს პატარა ბიჭი, და მაშინვე ჩარლის ამბავი ჰკითხა.

— საწყალო ჩემო ბავშვო! აბა შენ სასარგებლო რაზედმე ვილაპარაკოთ, აი თუნდა ღმერთზედ.

— ღმერთზე? ჰკითხა დიკმა გაკვირვებით.

— განა შენ სიცოცხლეში ღმერთზე არა გაგიგია-რა?

— როგორ არა; მე ხშირათ გამიგია მისი სახელი; როცა წვიმა მოდის, მაშინ ისე ამბობენ ხოლმე: „ღმერთო, დამსაჯე, რა ნოტიოა!“ როდესაც მზე ძრიელა სწვამს,—მაშინ: „ღმერთო, დამსაჯე, რა რიგათ ცხელა!“ და როდესაც მუშები დროზედ ვერ აიღებენ ხოლმე თავიანთ ნამუშავრის ფულსა, მაშინაც: „ღმერთო, დამსაჯე, რა სირცხვილია!“

ქალი ამ უმეცრებაზე სრულიად გადაირია, რომ მარტო წყევლაში იცნობდა დიკი ღმერთსა.

— დიკ, ცუდი ხალხი ამაოდ მოიწოდებენ ხოლმე ღვთის სახელს. ღმერთმა შექმნა მთელი ქვეყანა და რაც მაზედაა, ისიც; ღმერთია კეთილის მოქმედი და მოწყალე; მან

ცუდს ნურას იზამენ და არ ეტყვიან ცუდს. თორემ, თუ კი რამე ჩაიდინე ცუდი, მაინცა-და-მაინც საჭირო კი არაა შენის თანდასწრებით ჰსთქვან შენი ნამოქმედები შეკრებილებაში; შეუძლიანთ, შენ რომ არ იქნები, მაშინაც ჰსთქვან სადმე სხვა ადგილზე და სხვანაირად. შენ რაღა თქმა გინდა? სხვაზე უფრო შენ არ გეცოდინება, რაც ჩაიდინე? შენი თანდასწრება რა საჭიროა? დასტურს ხომ არ დაუცემ მთქმელს? ვინ ჰსთქვა: „ბებია ჩემი კუდიანიაო?“ უმიზნოა წყენა.

მაგრამ ყველიერმა მასკარადს თუ მოგვაკლო, მაგიერად სხვა სასიამოვნო საქმე მოგვიტანა. დღეს იმერეთის გამსესხებელ-შემნახველთ ამხანაგობების რიცხვს მოემატა ერთი: გაიხსნა ქუთაისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა. ეს ამხანაგობა შეჰსდგა, როგორც ამბობენ, უ. ნ. აბაშიძის და ტერ-დავით იარალიანცის თაოსნობით და მეცადინეობით.

ამ ამხანაგობის ფონდი შეჰსდგება სულ 447 მანეთისაგან. მიზანი შემდგენლებისა, რამდენათაც გვესმოდა და გვესმის კიდეც მათგან, მდგომარეობს იმაში, რომ სესხების გაცემით, შესაძლო ზომიერ სარგებელზე, ხელი გაუმართოს ქუთაისში მცხოვრებ წვრილ ხალხს.

ასე ამბობდნენ აქამდის; ასე ამბობდნენ მაშინ, როდესაც დამფუძნებლები სპექტაკლებსა და სხვა დროს გატარებას ჰმართავდნენ ფონდის შესადგენათ. ამნაირის ჰაზრით მიდიოდა ბევრი ამ სპექტაკლებზე და ამ დროს გატარებაზე. „სახელოსნო ბანკი იქნებაო“, იძახოდენ.

მაშასადამე საჭიროა ამხანაგობაში მიიღოს მონაწილეობა უმეტეს ნაწილად წვრილმა ღარიბმა ხალხმა; საჭიროა ამხანაგობა აკმაყოფილებდეს ამ წვრილი ხალხის საჭიროებას, და არა ჩინოვნიკებისა და სხვა ხალხის საჭიროებას, რომელნიც სულ სხვანაირ მდგომარეობაში არიან, უფრო გაუჭირელში, ვიდრე სხვა-და-სხვა წვრილი მოხელეები და ვაჭრები.

ამორჩეულ იქმნენ ამხანაგობის საქმეების გამგე პირები იმ პირთაგან, რომელნიც დამფუძნებლებად იწოდებიან და რიცხვით არიან 26. ამოირჩიეს შემდეგი პირები: უუ. ნ. აბაშიძე (ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი), ნ. ღოღაბერიძე (უფროსი ნოტარიუსი), პ. თუმანოვი (გამომძიებელი), ტერ-დავით იარალიანცი (სომხების აქაური უფროსი მღვდელი), ქ. ხარაზოვი (მაღალ ვაჭართაგანი), სტანიშევსკი (ჩინოვნიკი ღუბერნატორის კანცელარიისა), ი. ჯაიანი (ქალაქის სამმართველოს წევრი), უ. პარენიანცი (პრისტავი მომრიგებელ სასამართლოში) და პ. ქვარიანი (მაღალ ვაჭართაგანი). ექვსნი პირველნი შეადგენენ ზედამხედველ რჩევას და დანარჩენები სამმართველოს.

დიდის თანხმობით იქცეოდნენ ამხანაგობის დამფუძნებლები ამ პირების ამორჩევაში, როგორც კენჭის-ყრით გამოჩნდა. იყო სულ 21 კენჭი. არავის არ მოსვლია ცხრამეტზე ნაკლები თეთრი კენჭი. არც გაცხარებული ბაასი, არც ყვირილი და ვაი-უშველებელი. დამფუძნებლებმა შეადგინეს ამოსარჩევ პირების სია და კიდეც გაიყვანეს მრთლად.

ამის შემდეგ რამდენიმე კაცმა სურვილი განაცხადა ამხანაგობაში შესვლისა; ისინი მიიღეს. მათგან შემოტანილი ფულიც შესდგა 130 მანეთამდის.

იმედია, მალე შესდგება ის რიცხვი წევრებისა, რომელზედაც ალმატებული, წესდების ძალით, არ შეიძლება,—300. დღეს კი ბევრი არავინა ყოფილა ამ ამბის გახსნის დამსწრე და ამხანაგობაში შესვლის მსურველიც. გამოჩნდა, რომ დამფუძნებლების მეტს თითქმის არავის არ ჰსცოდნია ეს ამბავი. ვინც ჰკითხულობდა: „რა ამბავია? რა ბანკია?“ როდესაც ვინმე უხსნიდა—თუ რა ამბავია და რა ბანკია; ძალიან გახარებული რჩებოდენ. წესდების ძალით, ქალებსაც შეუძლიანთ ამხანაგობაში შესვლა. მაგრამ ჯერ კი ერთიც არ არის ჩაწერილი.

საკვირველია, რატომ არ მიიღეს შრომა დამფუძნებლებმა, რომ ეს ამბავი გამოეცხადებიათ და გაეგებინებიათ ქუთაისისთვის. აგერ ერთი წელიწადია, რაც ეს საქმე განიზრახეს და შეუდგენ სისრულეში მოყვანას. აქამდის რას უყურებდენ? რატომ არ ეცადნენ, გარდა ამისა, რომ ამხანაგობის გამგე პირებში დიდი უმეტესობა ისეთი კაცები ყოფილიყვნენ, რომელთაც კარგად სცოდნოდათ ქალაქში მცხოვრებთ წვრილ მოხელე და ღარიბ კაცების საჭიროება, რომელნიც თითონ სცხოვრებენ ამ ღარიბ ხალხის წრეში? ამისთანა პირებს უფრო არ შეეძლოთ ამხანაგობის გავრცელება და მისდამი ხალხისაგან კრედიტის მოპოება? ნასწავლი და რამდენიმედ გახსნილი კაცი ამ საქმეში მარტო ორი კმაროდა. სხვებს შეეძლოთ სხვა საქმისათვის მოეკიდათ ხელი.

მაგრამ ზოგიერთებს რომ ჰკითხო, გეტყვის, რომ ისინი, ვინც ამოირჩიეს, დამფუძნებლები არიან და მისთვის ამოვირჩიეთო. კი, ბატონო, იყვენ დამფუძნებლები! პატივი და დიდება მათ ამ საქმისთვის. მაგრამ საქმეს რომ დაიწყებს კაცი, ისე უნდა წაიყვანო, რომ ეს საქმე თავის მიზანს არ მოშორდეს. ამხანაგობისა და საზოგადო საქმის მნიშვნელობის გაგებას ვინ უფრო მეტად საჭიროებს? რომელი ნაწილია ხალხის, რომლისაც ცხოვრება და ხასიათი სრულიად მოწყვეტილია ეგრეთ-წოდებულ მაღალ და განათლებულ საზოგადოების ცხოვრებასთან და ხასიათთან? ამისთანა გახლავსთ დაბალი საზოგადოება; ამისთანა გახლავსთ ის კაცები, რომელთანაც თქვენ შეიძლება გამოლაპარაკებაც გერცხვინებოდესთ; ამისთანა ის უმეტესობა გახლავსთ, რომლის შემწეობა და თანაგრძნობა თქვენთვის ხშირად საჭირო იქნება, რომელიც ყოველ საზოგადო საჭიროების დროს უნდა შეადგენდეს თქვენთან ერთს მრთელს არსებას, ერთად მოაზრეს და ერთად მომქმედს.

ხალხის ამ ორნაირ ნაწილების შესაერთებლად ბევრი საშუალება უნდა გამოიძებნოს და მოიხმაროს. უნდა გამოვიწვიოთ მოქმედების ასპარეზზე ისინი, ვინც განზე არიან გამდგარნი, ვუხელმძღვანელოთ და ვამოქმედოთ და არა ბავშვივით ნიადაგ მკლავებზე ვატაროთ.

ამნაირად შეიძლება მაღალმა საზოგადოებამ მოიპოვოს სიმპატია დაბალისა, ამნაირად შეუძლიანთ განათლებულებსაც დაუმტკიცონ ერთგულება ხალხს.

სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში ჯერ ცოტაა ამნაირი შემაერთებელი საშუალება. ამნაირ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა დაფუძნებული მაღალი საზოგადოების წევრებისაგან და ხელმძღვანებული ნასწავლ კაცებისაგან. ამნაირი უნდა იქნეს ეს ჩვენი ამხანაკობაც, თუ გამგე პირებმა ივარგეს. დაწყება კი ვერაა კარგი და ბოლო არ ვიცით, როგორი იქნება.

ყოველს შემთხვევაში, ვისურვებთ, რომ ამ ამხანაგობის საქმე კარგად წასულიყოს. ამ თავით ბევრია დამოკიდებული გამგე პირების მეცადინეობაზე. მათ უნდა აუხსნან ხალხს ამისთანა ამხანაგობის სარგებლობა, მიაღებიონ მონაწილეობა, ვისთვისაც უფრო საჭიროა და ასარგებლონ. ერთის სიტყვით, საჭიროა, რომ ჩინოვნიკების და სხვილ ვაჭრების კასსათ არ გარდიქცეს ეს კასსა.

ქუთათური

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი და სერბია

რადგან უცხო ქვეყნისა და რუსეთის ფოჩტა ჯერ კიდევ არ მოდის ჩვენს ქალაქში, ამის გამო მკითხველი ძალა-უნებურად უნდა დავეკმაყოფილდეს იმ მოკლე ტელეგრამმების შინაარსის მოყვანით, რომელნიც ამ უკანასკნელი დღეების განმავალობაში მოვიდა თფილისში.

ეს ტელეგრამმები ჩვეულებრივად ერთი მეორეს ეწინააღმდეგება; მაგრამ ყველა დეპეშებიდამ შეიძლება ის საზოგადო ჰაზრი გამოიყვანოს კაცმა, რომ ოსმალეთსა და სერბია-ჩერნოგორიას შუა განხეთქილება თითქმის უეჭველად მორიგებით გათავდება. მორიგების უმთავრესს პირობებზე მოწინააღმდეგენი დათანხმებულან და საბოლოოთ მოსალაპარაკებელად სერბიას და ჩერნოგორიას თავის კაცები გაუგზავნიათ სტამბოლში.

— მიტჰხად-ფაშა კი, როგორც ამბობენ, ამ აზრის არ არის: ერთი ნემეცურის გაზეთის რედაქტორს ჰქონდა ამას წინათ მიტჰხად-ფაშასთან ნეაპოლში სხვა-და-სხვა პოლი-

---

ჩვენ დასახსნელათ თვისი შვილი გამოგზავნა ქვეყნათ.

— ეგ ომიანობის წინათ იყო? ჰკითხა პატარა ბიჭმა.

— ოო, ომიანობის კარგა უწინ.

— მაშ, იმის შემდეგ სულ ყველაფერი გადარეულა. ნეტავი მეორეთ აღარ მოვა?

— ეგ ლაპარაკები სულ უბრალოა, ჟენნი, უთხრა ამ ქალს თავისმა ქმარმა. მაგრე ერთბაშათ, მაგეების სწავლა არ შეიძლება.

— რა საშინელებაა! შეჰყვირა ქალმა. კვდება ეს საწყალი... ნეტავი ერთი რამ ლოცვა მაინც მეთქმევინებინა.

— განა შენა გგონია, რომ ამისათვის დიდი სასარგებლო იქნება, რომ ცარიელი სიტყვები ათქმევინო და მისი აზრი კი სრულიად არ ესმოდეს? აბა მე მიმიშვი, იქნება მე სხვა რიგათ უფრო ჩავაგონო.

— დიკ, უთხრა უფ. ოსტენმა, და დაჯდა ცოლის ადგილზე. აქიმებმა სთქვეს, რომ თუ ამალამ არავითარი ცვლილება არ შეგტყობია, შენ უსათუოთ მოკვდები.

— სიკვდილი ძრიელ სატანჯავია? ჰკითხა დიკმა, რომელსაც სახე არც-კი შეკრთომია.

— არ ვიცი, ზოგი დიდის ტანჯვით იხოცება.. შენ როგორა ჰფიქრობ, შენი სიკვდილის შემდეგ, რა იქნება შენს თავს?

— დამმარხავენ. ზოგსა მდიდრულათ მუზიკით მარხვენ, ზოგი კი პოლოსკით მიაქვთ ხოლმე სასაფლაოზედ. მეც, რასაკვირველია, პოლოსკით წამიღებენ.

— არა, ჩემო პატარა ბიჭო, შენ პოლოსკით არ წაგიღებენ, ამაზედ პირობას გაძლევ. მხოლოდ შენ კი მითხარი, სიკვდილის შემდეგ შენ სად იქნები?

— სად ვიქნები? კუბოში ჩამდებენ.

— ჰო, ეგ შენს სხეულს, მაგრამ სულსა?

— სული რა არის? ჰკითხა დიკმა.

— ილოცე მაგისათვის, საყვარელო ჟენნი, უთხრა უ. ოსტენმა თავის ცოლს, რომელიც იმ დროს ცხარე ცრემლით სტიროდა. ილოცე დიკისათვის; მაგის მეტს, შენ მაგას ვერაფერს ვერ უშველი...

— ნუ სტირით მაგრე, უთხრა მომაკვდავმა ოსტენის ცოლსა, როდესაც ის ხელ-მეორეთ მიუჯდა დიკსა.

ეს საწყალი ყმაწვილური სიცოცხლე, რომელიც სიყვარულით არ იყო გამთბარი, ის ჭკუა, რომელსაც არავითარი შემუშავება არა ღირსებია, პირველათ გაანათა ალერსიანმა სინათლემ და გაათბო მთელი პატარა არსება. პატარა ბიჭმა აიღო ამ ქალის ხელი, რომელიც მას თავზედ ედო, ჯერ კრთალვით და შემდეგ გაბედვით მოუჭირა თავის პატარა ხელები, და შემდეგ მიიკრა მაგრა გულზედ, დახუჭა თვალები და ხანგძლივად ამოიოხრა.

—

გავიდა სამი წელიწადი. კაპიტან ჟილბერის ხომალდი ისევ მოადგა ახალ-ორლეანს, იმავე ქუჩის ახლო. როგორც ამ სამი წლის წინათ, ოსტენი და მისი ცოლი მოვიდნენ საუზმეზე თავიანთ მეგობართან.

ოსტენის ცოლი ის იყო ხომალდის ბანზე ფეხის შედგმას აპირებდა; ამ დროს იმასთან მოვიდა კაპიტანი და იმასთანვე მშვენიერი ჭაბუკი, რომელსაც ტანზედ ცისფერი კურტკა ეცვა და თავზედაც ეხურა ჩილოზის ქუდი, მატროსის ლენტით.

— ეს ვინ არის? დავიჯერო, რო ეს დიკია? შეჰყვირა ქალმა.

— დიკი გახლავთო, უპასუხა კაპიტანმა.

— როგორ გაზრდილხართ, ღმერთო ჩემო, დიკ!

აღმოჩნდა, რომ, ზემო-აღწერილ შემთხვევის შემდეგ, დიკის ავათმყოფობას ბედნიერი შედეგი მიეღო; ის გახდა კარგათ და შემდეგ სასწავლებელშიაც მისცეს, სადაც ორ წელიწადში, იმინ იმდენი მეცადინეობა გამოიჩინა, რაც სხვამ ოთხ წელიწადში.

— ჰო, ეს ძრიელ მეცადინეა; მე მსურს, რომ დიკი კარგი ზღვაში მოსიარულე გავხადო, სთქვა კაპიტანმა.

— რა გვარი უწოდეთ თქვენ ამას? ჰკითხა მას ოსტენის ცოლმა.

— ჩემი ცოლის თანახმობით, ჩემი, და რადგანაც ჩვენ შვილებიც არა გვყავს....

— თქვენ საუცხოვო კაცი ხართ, უ. ჟილბერო!

— ასე სთქვით, რომ ბედნიერი, ღიმილით უპასუხა კაპიტანმა.

ასე თავდება ამ „ვირთაგვას“ ისტორია. რამდენიმე ნამცეცმა, რომელიც საუზმეზე კეთილის გულით იყო მიცემული, ქალის ნაზმა და ალერსიანმა ხელმა დაიხსნა კაცი უბედურებისაგან და საზოგადოებაც ერთის მავნე წევრისაგან.

ეკ. ღვინიაშვილი

ტიკურ საგნებზე ლაპარაკი; ამ გამოჩენილ კაცს, სხვათა შორის, ხსენებული რედაქტორისათვის უთქვამს, რომ შეუძლებელია, რომ საქმე Ოსმალეთსა და რუსეთს შუა უ-ომოთ გათავდესო.

— მეორე იტალიურს გაზეთში იწერებიან, რომ ამ დღეებში მიტჰხად-ფაშას ხონთქრისაგან კაცი მოუვათ და ფიქრობენო, რომ იმას ისევ სტამბოლში დაბრუნების ნებას მისცემენო.

— Ერთი ვენის გაზეთი გვარწმუნებს, რომ სულთანი Აბდულ-ჰამიდი ისეთ ნაირ მდგომარეობაში არისო, რომ ექიმები იმის ჭკვიდამ შეშლას მოელიანო.

# საბაასო

## სამაგალითო პედალოდიური გამოსარჩლება*)

(შესახებ ბაასისა Ი. გოგებაშვილის „დედა ენაზედ.“)

VI

ზემოთ იყო ნათქვამი, რომ აღზრდა მიმდინარეობს ორი უმთავრესი პირობის ქვეშ: საზოგადო-კაცობრიობის და კერძო—ხალხოსნობის ელემენტებისა. Პირველი ნაწილი უფრო აღზრდის მეცნიერებას, თეორეტიკულ მხარეს შეადგენს; მეორე—კერძოობით აღზრდას, შკოლებს, პრაკტიკულად სთქმის აღსრულებას ასვამს ბეჭედს.

Მაგრამ არც პირველი, არც მეორე პირობათაგან კაცმა არ უნდა გამოიყვანოს ის აზრი, რომ თუ, თანხმად ელემენტებისა, რამ მასალა შესდგა, გაკეთდა, ვარჯიშობა გამოვიდა, —შეიძლებოდეს ამისი ბავშვის ტვინში ჩატენება, რომელიმე ზნეობითი სწავლის მის გულში ჩადება, თუნდა ესენი იყვნენ მეტად სასარგებლონი და მშვენიერნი, უკეთუ მასწავლებელმა თვით ყმაწვილის ბუნებაში არ იპოვნა იმისთანა ნიადაგი, რომელზედაც შეიძლება ამ ჩადებულის გაფუფუნება, გახსნა. Და ეს კარგი რამეები, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, გარედამ კი არ უნდა იყვნენ ჩადებულნი, მეხანიკურად მიკრულნი და მიწებებულნი კაცის სულთან, — თვით ბავშვის შინაარსიდამ უნდა იყვნენ გამოყვანილნი, გახსნილნი, აღზრდილნი; და უმთავრესი, ძნელი ვალი მასწავლებლისა მდგომარეობს მაში, რომ უფრო მოაცალოს ყმაწვილს ყველა ის ცუდი და დამაბრკოლებელი მიზეზები და გარემოებანი უშლიან ბავშვის შინაარსის გახსნას; შემოარტყას იმ გვარი გარემოებანი, რომლებიც ეწევიან მას. Მომეტებულ შემთხვევაში ცუდი ნაყოფი აღზრდისა გამოდის იქიდამ, რომ უარს-ყოფენ საკუთარ, ინდივიდუალურ თვისებათ, უარს-ყოფენ თვით მის საკუთარ ენასაც, რასაც ჩვენ თვალწინ ვხედავთ, უარს ყოფენ შთაბეჭდილებათ, წარმოდგენათ, რომელნიც ბავშში შედიან მას უკან, როგორც ის დაინახავს ნათელ ქვეყანას, და რომლებითაც ის მოხვდება პედაგოგების „ხერხებს.“ Წინააღმდეგ — კარგი ნაყოფი მომეტებულ ნაწილად მაშინ გამოვა, როდესაც არავინ არ შეაწუხებს ბავშვის თავისუფალ გახსნას, არავინ არ დაატანს ძალას მის გონებით და ზნეობით განვითარებას.—Ამიტომ აქ საკმარი არ არის, რომ მასწავლებელმა იხელმძღვანელოს მარტო საზოგადო პრინციპებით, საზოგადო მოთხოვნილებებით, „მარტივიდამ — რთულთან...“ და სხ. Ეს საზოგადო მოთხოვნილებანი იმიტომ არიან ს ა ზ ო გ ა დ ო, საერთონი, რომ იხმარებიან ყველგან; ყველგან კაცი უნდა აღიზარდოს ისრე, რომ იყოს მრთელი და ღონიერი, მართალი და კეთილი, მოღვაწე და პატიოსანი, რომ იმას ჰქონდეს, შეძლების გვარად, ბევრი სწავლა და შეძლებისვე გვარად, იცოდეს მისი კეთილი მოხმარება. Მაგრამ აქედამ არ ვიცით, თუ რა გზით ასრულდება ეს უმთავრესი მოთხოვნილებანი რ ო მ ე ლ ი მ ე გარემოებაში, რ ო მ ე ლ ი მ ე საზოგადოებაში, რ ო მ ე ლ ი მ ე ხ ა ლ ხ ო ს ნ ო ბ ა შ ი და სხ.—Კაცის მოვლა აქ ცოტად მიემსგავსება საქონლის მოვლას; როგორც უკანასკნელ შემთხვევაში, საკმარი არარის ვიცოდეთ მ ა რ ტ ო, რომ საქონლისთვის კარგი საკვები საჭიროა, არამედ საჭიროა ამასთან ვიცოდეთ, თუ რ ა ნ ა ი რ ი საჭმელი და რ ა ნ ა ი რ ი მოვლა უფრო მოუხდება ა მ ა-დ ა-ა მ პირუტყვს და ა მ ა-დ ა-ა მ მის ცხოვრების გარემოებას; სწორეთ ასრეთვე საჭიროა კაცის აღზრდაშიაც გავიგოთ როგორც მისი ბუნების შინაგანი და გარეგანი თვისება და გარემოება, აგრეთვე ამ ბუნების გასახსნელი საკვებავის გამოდგომილება.

Აი ამ პრინციპს უფრო ასრულებს Ინგლის Ამერიკის და Საფრანგეთის სწავლა და შკოლები. Ესევე აზრი გამოთქვა რეცენზენტმა, რითაც მან, როგორც ბევრმა სხვამ, უფრო Ინგლი-ის შკოლისადმი თანაგრძნობა გამოაცხადა. Ამ გვარ რეცენზენტის შეხედულობიდამ გამჭრიახმა პედაგოგმა ისეთივე დოგკიხოტური და რქიანი დასკვნა გამოიყვანა, რომლების ნიმუში ზემოთ იყო და ქვემოთაც კიდევ ერთი იქნება.

„Უვალი რეცენზენტი, დააბოლოებს მარჯანიძე თავის ბაასს მასწავლებლების როლზედ და „მიმყვანებითი კითხვებზედ,“ იმ უკიდურებაში გადავარდნილა, საიდამაც გერმანია (?) ცდილობს განთავისუფლდეს ისევ (?.?) Ინგლისის და მისი აღზრდის მიხედულობის გამოისობით.“

Ეს მიტომ გადავარდნილა, მკითხველო, რეცენზენტი ამისთანა უკიდურებაში, რომ ყოფილა უფრო Ინგლისის აღზრდის ერთგული და გამოუცხადებია აზრი, რომ არამც თუ ცუდი მასწავლებლების, —კარგი მასწავლებლების მეტის-მეტი სტატიების და კითხვების განმარტებანი, იმისთანა სტატიების განმარტებანი, რომლებიც არ განიმარტებიან, ბევრს ვნებას მოუტანენ ყმაწვილს; გამოუცხადებია იმისთანა აზრი, რ ო მ ე ლ საც ა ს რ უ ლ ე ბ ე ნ Ა მ ე რ ი კ ა შ ი, Ა ნ გ ლ ი ა შ ი, Ფ რ ა ნ ც ი ა შ ი!

Დამრჩა უკანასკნელი კითხვა— ზ ღ ა პ რ ე ბ ზ ე დ.

გ. Კურდღელაშვილი

(Დასასრული შემდეგ №-ში)

*) „Დროება“, № 15.

## ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(4 აპრილის სახსოვრად)

Ერევნის მოედანზე, ჩიტახოვის სახლებში

Ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

**Ო რ შ ა ბ ა თ ს:** ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და Ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.-

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, Თამამშევი — თვალის ექიმი.

**Ო თ ხ შ ა ბ ა თ ს:** Ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., Ქიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** Ლისიცევი და Ასატუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირგიულისთვის.

**შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფი. Ქიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და Თამამშევი — თვალის ავათმყოფობისა.

## ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

Ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მ ი ღ ე ბ ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ი ქ ა ლ ე ბ ი ს ა და ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი ს.

ქ ა ლ ი ს ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს:

Ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11 მდინ — დოქტორი Ა ნ ა ნ ო ვ ი.

Ოთხშაბათობით და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ — დოქტორი რ ე მ ე რ ტ ი.

Სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ — დოქტორი Ა ლ ბ ა ნ უ ს ი.

ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ო ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო ბ ი ს თ ვ ი ს.

Ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი — დოქტორი Უ შ ა კ ო ვ ი.

Შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, Ალბანუსის და Ანანოვის.

Ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. Ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში— 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ, ᲘᲐᲠᲛᲣᲙᲐᲨᲘ, უ. Ზაქარია Ჭიჭინაძესთან ისყიდება ყოველ ნაირი ძველი და ახალი ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ. (1—10)

LA VELOUTINE

(ᲕᲔᲚᲣᲢᲘᲜᲘ)

ერთნაირი ბრინჯის ᲞᲣᲓᲠᲘ (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

Ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზრდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

Კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფ ა ი — გ ა მ ო მ გ ო ნ ი

pommade satin

(ᲐᲢᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—103


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| Გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| Ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| Ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| Ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| Ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| Სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| Ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| Ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| Ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| Ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| Სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| Ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| Ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| Ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| Ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| Გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| Თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) Ფოთიდამ მიდის:

Ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.

Სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) Ოდესსიდამ:

Ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. 3საათ.

Სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| Ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| Სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| Ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| Ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| Ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ | მ. | კაპ |
|---|---|---|
| Ოცი სიტყვა Თფილისიდამ: | | |
| Ქუთაისს, Ფოთს . . | 1 | — |
| Გორს, Დუშეთს, Სიღნახს | | 50 |
| Როსტოვს Ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| Პეტერბურგს, Ვარშავას . . | 2 | — |
| Ოსმალეთში, Შვეიცარიაში | 3 | — |
| Იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| Ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ᲤᲝᲨᲢᲐ

ა) Თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

საზღვარ გარეთ, Ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. Ზუგდ. ოთხშ., Ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. Ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. Კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) Ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

Თფილისისა და Ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. Ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) Გ ო რ ი დ ა მ.

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) Ფ ო თ ი დ ა მ:

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| Ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| Დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ᲑᲘᲠᲟᲐ | მან. | კაპ |
|---|---|---|
| Პეტერბურგი, 5 თებერ. | | |
| Ერთი მანეთი ღირს: | | |
| Ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი. | — | 84 |
| Პარიჟში $313\frac{1}{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| Ესკონტი(სარგებლისფასი) | $7\frac{1}{2}$ | — |
| Ბანკის ბილეთი 5% | 95 | 25 |
| Მოგებიანი(პირველისესხი) | 190 | — |
| Მოგებიანი (მეორე ესხი) | 190 | 50 |
| Გირაოს ფურცლები: | | |
| Თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| Ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 82 | 75 |
| Მოსკოვის (5%). . . | 81 | 50 |
| Ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| Ოდესის სავაჭრო ბანკის | 250 | — |
| Ფოთი-Თფილ.რკინ.გზის | — | — |
| Შავიზღვის ცეცხ. გემების | 497 | — |
| Კავკაზის და მერკურის. . | 206 | — |
| Პირვ. საზღვევ. საზოგ. | 727 | 50 |
| Პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| Მოსკოვის საზღვევ. საზ. | 269 | — |

| ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ | მან | კაპ. |
|---|---|---|
| Თფილისი, 10 თებერ. | | |
| Პური შოთაგალის ფთ. | 1 | 20 |
| Ქერი ფუთი. . . . | — | 87 |
| Ბამბა Ერევნისა, ფუთი . | 5 | 60 |
| — Ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 20 |
| Გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | — |
| Მატყლი თუშური ფთ . | 6 | 70 |
| — Თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| Აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| Ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| Ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| Სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| Ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 65 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| Სპირტი, ვედრო. . . | 8 | — |
| Შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 10 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 40 |
| Ყავა გრგვალი, ფუთი . | 20 | — |
| Ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| Ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | — |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Февраля 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ რედაქტორი ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.